საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 50 კაპ.

ფელიეტონი პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 36 შაბათი. 7 ივნისისთვე 1918 წ. № 36

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

დრმად დამწუხრებული დები და ძმები: ბარბარე ალექსანდრეს ასული ვარჩანაძისა, ელენე ალექსანდრეს ასული მისიანოვისა, დიმიტრი და გრიგოლ ალექსანდრეს ძენი ფავლენიშვილებისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 სექტემბერს, დღის 1 საათზე, ანიხატის ტაძარში, გადახდილი იქნება მანანქადი

სოფიო ალექსანდრეს ასულის ბუჭყიევის

სულის მოსახსენებლათ.

ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაიგლება 4 წელიწადში.

ქ ს ე ნ ი ა ს ქ., № 11.

ხოგებები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა სადამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ერთგვარობისა და ხნისა მოწაფეობისა შესაფერ კლასებში, ეთანხმ მოწაფეობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გადმოყვანილ მიიღებიან ის პირნი, რომელნაც გადაეცემა ქვეშ უმაღლეს დაწესებულებანი ან ან სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. გამოცდები და განმეორებითი გამოცდები—26 აგვ. (ხ. სტადიონ). კანცელარია გადეცემა სადამოს 4—8 ს. გიმნაზია ძალვეს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელებს.

ყოველდღიური შეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

50—10 გამგეობის გიმნ. ს. ნ. ფულგინი.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მარეგლოგის

16 მკათათვის დადგენილების თანახმად არსდება საქართველოს რესპუბლიკის

ფიფელი ჯერის საზოგადოება,

რომლის დამფუძნებელი კრება მოხდება კვირას, 8 სექტემბერს, დილის 11 საათზედ ქალაქის საბჭოს დარბაზში. დღის წესრიგი: 1. ეკონომ. ზანდუკელის მოხსენება. 2. საზოგადოების წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება. 3. საზოგადოების მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. კრებაზე დასწრება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომს, ხოლო გადაწყვეტი ხმა მიეცემა, ვინც შეიტანს საზოგადოების მოლარესთან წლიურ გადასახადს, რომლის მიღებაც დავალებული აქვს ხუციშვილს. 2-1

ოფიციალური განყოფილება

შინაგან სამინისტროსთან არსებული საქმეთა სასინტარო განყოფილება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4 ენკენისთვე, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 16.

ინიშნება: ბორჯომის ეპიდემიურ რაზმში ექიმის თანაშეწე ლუკა ჩიტაძე ამა წლის 4 სექტემბრიდან.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 17.

ინიშნება: პირველ ეპიდემიურ რაზმში ბაკურიანში მოწყალების და სოფიო ლორდოკიპანიძის ამა წლის 5 აგვისტოდან.

საექიმო-სასანიტარო საქმის უფროსი გ. ზანდუკელი.

ა ბ ო ნ ა ფ ე ბ ი

თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების ნაგებიდან.

30 აგვისტო, 1918 წ.

№ 106.

თბილისის ნოტარიუს მიტკევიჩს ეძლევა თავისუფლება ერთი თვით. მისი თანამდებობის აღსრულება ეკისრება ივანე ნიკოლოზის ძე მურადოვს, რომლის მოქმედებაზე პასუხის მგებელი იქნება მიტკევიჩი.

№ 107.

ელენე დიმიტრის ასული ახალედიანი, მარიამ გრიგორაშვილი და ოლია ალექსანდრეს ასული კოზეიკო მიღებულ არიან შტატ გარეშე, პირველი სამოქალაქო განყოფილების კანცელარიაში ამა წლის პირველ აგვისტოდან.

4 სექტემბერი, 1918 წ.

№ 108.

სასამართლოს თანამდებობაზე უმცროსი კანდიდატი იასონ ელადიმერის ძე ჯავახიშვილი დანიშნულ იქმნა პირველი სამოქალაქო განყოფილების მდივნის თანაშეწის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის 1 სექტემბრიდან.

2 სექტემბერი, 1918 წ.

№ 109.

ოლქის სასამართლოს შიკრიკი გიორგი ჩაჩანიძე დანიშნულ იქმნა სასამართლოს გზირის თანამდებობის აღმასრულებლად.

2 სექტემბერი, 1918 წ.

№ 110.

ეკატერინე ხარლამპის ასული ხუციშვილი, ნინო მიხეილის ასული სარაჯიშვილი—ქავთარაძე, ოლღა ალექსანდრეს ასული ქუთათელაძე—პოპოვისა, ლიდა მალაქიის ასული სვანაძე, ნინო ნიკოლოზის ასული დაფქვიანი, ეკატერინე იოსების ასული ვაჩნაძე, მარიამ ალექსანდრეს ასული ხიზანაშვილი და მარიამ ბესარიონის ასული კაკაბაძე დანიშნულ იქმნენ შტატ გარეშე ოლქის სასამართლოს კანცელარიაში ამა წლის 1 სექტემბრიდან.

არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 7 ენკენისთვე.

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა იმდენად სერიოზიული და დაძაფიქრებელია, რომ ყველა, ვისაც უყვარს სამშობლო და თავისუფლება, ვალდებულია მის განსამტკიცებლათ მთელი თავის აზრით და მოქმედებით შეუწყოს ხელი საქართველოს მესვეურს—მთავრობას.

სამწუხაროთ უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენში ერმოთ და ყოველ მხრივათ კიდევ არ არის შეგნებული და გათვალისწინებული ჩვენი რესპუბლიკის შინაური ვითარება და საერთაშორისო დამოკიდებულება.

საქმეს ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა და ბატონობს სიტყვა. ყველგან ამ დიდს შეუსაბამობას აქვს ადგილი ფრთა შესხმულ სიტყვისა და ზანტ საქმეს შორის. ს. მესხი სწერდა ამ ორმაგ ცოდნის წინათ „ამ განსხვავებაზე და თითქმის წინაღმდეგობაზე სიტყვისა და საქმეს შუა“.

„ყველა, ვისაც კი ცოტაოდენი რამ განათლება მიუღია ჩვენში, ყველა, ვისაც რამე უსწავლია, წიგნში ამოუკითხავს, ან გაუგონია, ყველა ტაბლათ ლაპარაკობს, გულშემტკივნეულათ გეჩვენებათ საზოგადო საქმეებისათვის, ხალხის, მდაბიო ხალხის ბედზე შემოტირისთ. სამშობლოს სიყვარულს გიცხადებს და გაცხარებული მომბრეა ქვეყნის ყოველ მხრივ წინ-წაწევისა, წარმატებისა“. რა თქმა უნდა მაშინდელი საქმე ამ სიტყვა სურვილისაგან განსხვავდებოდა ან სულ საწინააღმდეგოდ მუშაობდა.

ცხადია, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ წინ წავიწიეთ როგორც კულტურულათ ისე პოლიტიკურათ, მაშასადამე საქმიანობითაც. ჩვენ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგა გაცნობიერებული დემოკრატია და ყველა დარგში და სფეროში სიცხოველე და საქმის ინტერესი შეიტანა.

ჩვენმა ხალხმა დიდი კულტურულ-საზოგადოებრივი მუყაითობა და პოლიტიკური წინდახედულობა გამოიჩინა განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში. მან ეს დაამტკიცა თავის მხურვალე მონაწილეობით რუსეთის საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რევოლიუციაში და რეაქციის ბატონობის დროსაც. აგრეთვე ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ, რომ ჩვენი ერი დემოკრატიის მეთაურობით გაგებულათ შეხვდა უკანასკნელ საისტორიო ამბებს და დამოუკიდებლობის გამოცხადებით გამოაშკარავა თავის პოლიტიკის გონიერება და სახელმწიფოებრივი სიმწიფე.

ეს მართალია. მაგრამ რომ უკვირდებით ჩვენი თანამედროვე ცხოვრების დღღილს და იმ საშიშარ განსაცდელს, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ყოველივე, რითაც კულტურული ერი ერობს და დემოკრატია ამაყობს, რწმუნდებით, რომ ჩვენს ხალხსა და საზოგადოებაში მრავალ ს არაა ქვს ვინ ლილი ეს საფრთხე და ბევრი ჩვენი „ყოფნა არ-ყოფნის“ მდგომარეობას გულგრილათ და ზედაპირულათ ეპყრობა.

მერე ვინ იტყვის, რომ ასეთი პოლიტიკურ—საზოგადოებრივი გულგრილობა დამოკიდებულებაა მთელი თავის აზრით და მოქმედებით შეუწყოს ხელი საქართველოს მესვეურს—მთავრობას.

სამწუხაროთ უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენში ერმოთ და ყოველ მხრივათ კიდევ არ არის შეგნებული და გათვალისწინებული ჩვენი რესპუბლიკის შინაური ვითარება და საერთაშორისო დამოკიდებულება.

საქმეს ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა და ბატონობს სიტყვა. ყველგან ამ დიდს შეუსაბამობას აქვს ადგილი ფრთა შესხმულ სიტყვისა და ზანტ საქმეს შორის. ს. მესხი სწერდა ამ ორმაგ ცოდნის წინათ „ამ განსხვავებაზე და თითქმის წინაღმდეგობაზე სიტყვისა და საქმეს შუა“.

„ყველა, ვისაც კი ცოტაოდენი რამ განათლება მიუღია ჩვენში, ყველა, ვისაც რამე უსწავლია, წიგნში ამოუკითხავს, ან გაუგონია, ყველა ტაბლათ ლაპარაკობს, გულშემტკივნეულათ გეჩვენებათ საზოგადო საქმეებისათვის, ხალხის, მდაბიო ხალხის ბედზე შემოტირისთ. სამშობლოს სიყვარულს გიცხადებს და გაცხარებული მომბრეა ქვეყნის ყოველ მხრივ წინ-წაწევისა, წარმატებისა“. რა თქმა უნდა მაშინდელი საქმე ამ სიტყვა სურვილისაგან განსხვავდებოდა ან სულ საწინააღმდეგოდ მუშაობდა.

ცხადია, ამ ხნის განმავლობაში ჩვენ წინ წავიწიეთ როგორც კულტურულათ ისე პოლიტიკურათ, მაშასადამე საქმიანობითაც. ჩვენ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგა გაცნობიერებული დემოკრატია და ყველა დარგში და სფეროში სიცხოველე და საქმის ინტერესი შეიტანა.

ჩვენმა ხალხმა დიდი კულტურულ-საზოგადოებრივი მუყაითობა და პოლიტიკური წინდახედულობა გამოიჩინა განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში. მან ეს დაამტკიცა თავის მხურვალე მონაწილეობით რუსეთის საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რევოლიუციაში და რეაქციის ბატონობის დროსაც. აგრეთვე ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ, რომ ჩვენი ერი დემოკრატიის მეთაურობით

ეს მართალია. მაგრამ რომ უკვირდებით ჩვენი თანამედროვე ცხოვრების დღღილს და იმ საშიშარ განსაცდელს, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ყოველივე, რითაც კულტურული ერი ერობს და დემოკრატია ამაყობს, რწმუნდებით, რომ ჩვენს ხალხსა და საზოგადოებაში მრავალ ს არაა ქვს ვინ ლილი ეს საფრთხე და ბევრი ჩვენი „ყოფნა არ-ყოფნის“ მდგომარეობას გულგრილათ და ზედაპირულათ ეპყრობა.

მერე ვინ იტყვის, რომ ასეთი პოლიტიკურ—საზოგადოებრივი გულგრილობა დამოკიდებულებაა მთელი თავის აზრით და მოქმედებით შეუწყოს ხელი საქართველოს მესვეურს—მთავრობას.

ბოლო ყველამ შეიგნოს, რომ ინდიფერენტიზმის, გულგრილობის სულისკვეთება, უმოქმედობის პოლიტიკა, კარგი სიტყვა, ცუდი ხაქმე, საერთოთ „ფეხზე მკიდის“ დამამდაბლებელი ფილოსოფია საქართველოს რესპუბლიკის კეთილდღეობის წინააღმდეგ არის მიმართული.

ხოლო საქართველოს ხელუხლებლობის დაცვა და სახელმწიფოებრივი კეთილდღეობა დღეს ერთად ერთი პირობაა ჩვენი კულტურის გადასარჩენად, ჩვენი ხალხის თავისუფლების და ფიზიკური არსებობის უზრუნველსაყოფელად.

ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ მოუწყობელია, ათასი მტერი და ორგული ჰყავს მას შინ და გარეთ. ავაზაკობა, მეძრთამეობა და სხვა მრავალგვარი ბოროტმოქმედება ფრთას ზლის. სპეკულიაცია ხალხსა ღრღნის. და ამ დროს ვის უნდა ლამაზი, გაცვეთილი სიტყვები, თუ მას თან არ ახლავს პატრიოტანი, ქვეყნის ინტერესების შემლახველ საქმესთან გულწრფელი ბრძოლა და დაკისრებული მოვალეობის პირნათლათ შესრულება!

სახელმწიფო ვერასოდეს ვერ იხეირებს, თუ საზოგადოა არ ემორჩილება კერძო, მთელი არ ჰფარავს ნაწილს, თუ ჯგუფური ყლაპავს ზოგად-კოლექტიურს და საპირდაპირ ეწირება საქვეყნო.

განსაკუთრებით ჩვენს სახელმწიფოს ისეთ მძიმე ისტორიულ პირობებში უხდება თვითორგანიზაცია, რომ მხოლოდ ჩვენი სოციოლოგიურ, პროგრესიულ—დემოკრატიული ძალების გაასკეცებული ენერგია, შეკავშირებული ბრძოლა და თავგანწირულება იხსნის მდგომარეობას.

ის ღირსი არ არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სახელის ტარებისა, ვინც ჩვენი დღევანდელი არსებობის ამ ძირითად საკითხში არ იხედება და თა-

ვისი ულირსი მოღალეწეობით და საპირადო თუ ჯგუფური მოთხოვნილების წამოყენებით ბოროტმოქმედობის დემოკრატიული სახელმწიფოებრივიობის საზარალოდ.

საჯირო საქმე.

თავისთავად ბუნებრივია, რომ მთელი ყურადღება ჩვენი ხალხისა პოლიტიკურმა საკითხებმა ჩაყლაპა. დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საქმე იმდენად დიდი და განუზომელი მნიშვნელობის არის, რომ ყველაფერი მის უნდა დავუმორჩილოთ და ყველაფერი მის გასაძლიერებლათ უნდა ავატრიალოთ.

ამ პოლიტიკურმა ცოცხ-ცხელებამ და წმინდა სახელმწიფოებრივმა მეშაობამ თოქმის დაჩრდილა წმინდა კულტურული საკითხები. ჩვენ ვეღარ ვასწრებთ სათანადო ყურადღებით და მზრუნველობით მოვეპყრათ მათ და ამ გვარათ მათი მიზანშეწონილი განხილვა და გადაწყვეტა ბევრნაირათ გაზნე გადადებული და მივიწყებულია.

დღეს ჩვენ კარგად არც კი ვიცით რას აკეთებს და რა მდგომარეობაშია ის ჩვენი კულტურული დაწესებულებანი, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ერთად ერთ საღაროს წარმოადგენდა ჩვენი ერის დაგროვებული სულიერი სიმდიდრისას.

ახლა, როცა ჩვენ სახელმწიფოს წარმოვადგენთ და ყველმ სახელმწიფოებრივ დაწესებულებას ჩვენვე ვუძღვებით, კულტურული განვითარება-გაძლიერებას პოლიტიკური ბაბრკოლებანი აღარ ეღობება წინ და ამ მხრით შეგვიძლია უფრო გულდამშვიდებით ვუცქიროთ მომავალს.

სახელმწიფოებრივ შემოქმედებას ჩვენ ვერ ჩამოვაშორებთ კულტურულ ვითარებას. მათ შორის შეიძრო და ორგანიული კავშირი უნდა არსებობდეს.

სახელმწიფო თავის დღეში არ იქნება მტაცი და გამაგრებულ-გაერთიანებული, თუ ძლიერი კულტურა არ სჩქეფს ყველა მის ძარღვებში. და ამავე დროს თანამედროვე პიროვნებაში კულტურა დიდათ ვერ ამაღლდება და დაწინაურდება, თუ მისი განვითარების პირობები სავსებით უზრუნველყოფილი არ არის გარეშე დამარღვეველ გავლენებისაგან.

ქართველმა ერმა თუ მოაღწია დღევანდლამდე და გაუძლო თავის, ასე ვსთქვათ, სახელმწიფო ხანის მძაფრ ისტორიულ ქარტეხილს, ეს პირველ ყოვლისა აიხსნება იმით, რომ ის დიდი ხნიდან კულტურული ერი იყო და ადვილად უმკლავდებოდა გადამგვარებელ განსანადგურებელ გარემოცულ პირობებს

განსაკუთრებით ახალი ისტორია გვიდგამდა ფეხს, რომ კულტურის მატარებელი ხალხი არ ვყოფილიყავით და ევროპიულ განვითარებით უნარი და სურვილი არ გექონებოდა.

სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან ერთად ჩვენ ძლიერი კულტურული აღორძინება და გაძლიერება გვეპირვება. უკანასკნელი თავადური პირობანი ჩვენი რესპუბლიკანური თავისუფლების გასავითარებლათ და დემოკრატის დასაწინაურებლათ.

ამიტომ ჩვენი სახელმწიფოებრივი დანიშნულებაა ყოველნაირათ ხელი შეუწყოთ ჩვენი სულიერი ცხოვრების და ჩვენი კულტურის აყვავებას.

სკოლა, თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, მხატვრობა, მუსიკა და სხ. არ უნდა დარჩეს ჩვენი საზოგადოებრივი ყურადღების გარეთ და მათი განვითარების საქმე უნდა გახდეს თავიარ სახელმწიფოებრივ საზრუნავად.

ჩვენში თავისუფლად, თავისუფალი თოსნობის და ინდივიდუალურ-საზოგადოებრივი შემოქმედების აღიძვრება დიდი კულტურული ენერგია, რომელიც გამდიდრებს და გაართულებს ხალხის ცხოვრების შინაარს.

საქართველოს დემოკრატია თავის საშოდან დიდს სახელოვანს და სულიერ-კულტურულ ძალას წარმაშობს შინაგან განვითარებით და წინსვლით.

მაგრამ ამ საქმეს ძლიერი ხელმძღვანელი სჭირდება დღეს. და ასეთი ხელმძღვანელი და მოკარნახეს ეს შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო.

სახელმწიფომ უნდა მისცეს საშუალება კულტურულ დაწესებულებათა გასამაგრებლათ, მან უნდა შეუქმნას თავისუფალი კალაპოტი მათ დაბრკოლებლივ განვითარებას, იგი უნდა გახდეს წამეზღვნელი ძალა და დამხმარე ფაქტორი კერძო ხელოვნების ასაღორძინებლად, და საერთო სულიერ კულტურის ასამაღლებლად.

ეროვნული საბჭო და მთავრობა ჩვენი ცხოვრების ამ მხარეს უთუოდ განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობიან და თავის მოღვაწეობით აღმეტ ბევრ პროგრესს როგორც საერთო სახელმწიფოებრივ-ადგილობრივ განმტკიცებაში, თუ კერძოდ წმინდა კულტურულ ცხოვრების აღორძინებაში.

პრესის მიმოხილვა.

ჩვენს რესპუბლიკას აჯანყების ალმა ახლა აღმოულიდან ნამოფრა. მთავრობა იძულებული გახდა უწესოების ჩასაქრობდ ჯარი გაეგზავნა. ჩვენ ჯართან ერთად აღმოულაღში გაიგზავნა ჩვენი მოკავშირის გერმანიის ჯარიც. უკანასკნელ ცნობებით, როგორც „სახალხო“ იუწყება:

„მძარცველთა ასალაგმავად გაგზავნილ მცირე რაზმს, რომელსაც პოლკოვნიკი ბოლლაშვილი მეთაურობდა—დახვედრია ორი ათასამდე შეიარაღებული რუსი და სომეხი. ჩვენებისათვის უკან დაუხვევნიბიათ. ბრძოლის დროს ჩვენებს დაჭარგვიათ ერთი ზარბაზანი და ორი ტყვიის მფრქვეველი. დაჭრილია როტის უფროსი კურცხალია, პოლუშიკი დგებუაძე და ერთი ჯარის-კაცი. მოკლულია ჯარის კაცი ხოჯაშვილი.

სასწროფოდ გაიგზავნა ჯარი ბრბოს ასალაგმავად.

სოფ. ვარხუნის და ალექსეევკის მცხოვრებლებმა მორჩილება განაცხადეს ტ ია ოაოს ბარებენ“.

მთელი ეს ამონაწერი „სახალხო სამმა“-დან მოჰყავს „კავკასსკოე სლოვო“-ს და დასძენს:

„საზოგადოებამ ამ ამბების შესახებ არა იცოდა-რა. ჩვენ არავითარი ინფორმაცია არ გვქონდა ასე ჩვენს მახლობლად მოხდარ ამბების შესახებ.

ჩვენ არ ვიცით არც მიზეზები, არც ნიადაგი, ამ აჯანყებისა“.

ეს რომ ეთქვა ტფილისში მყოფ ვინმე უცხოელს ან და უცხოელთა ორგანოს კიდევ დასაჯერებელი იქნებოდა, მაგრამ როდესაც „კავკასკოე სლოვო“ სწერს, რომ „ჩვენ არ ვიცით არც მიზეზები და არც ნიადაგი ამ აჯანყებისა“—მ. ჩვენ ეს ცოტა არ იყოს გვაოცებს, აღმოულიის რაიონში ხომ უმრავლესობას რუსები და სომხები შეადგენენ და ნუ თუ „სლოვო“-მ არ იცოდა, რომ ის შური და ღვარძელი, რომელსაც უხვად სთესენ სომხის ბრმა პოლიტიკოსები აღმოულიში უფრო კარგ ნიადაგს ჰპოებდა.

* * *

საქართველოს პარლამენტმა უკვე კარგა ხანია მიიღო არმის ორგანიზაციის კანონი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ჩვენ კარგათ გაწვრთნილი ჯარი გვეყოლება. მაგრამ არის ერთი გარემოება, რამაც შეიძლება პირველ ხანებში -სიმწარე გვაგრძნობინოს. ჩვენ ხალხს ჯერაც კიდევ კარგათ ვერ შეუგნია ჯარის საჭიროება, ვერ გაუთვალისწინებია საკუთარი ინტერესები. ამის შესახებ „ერთობა“ სწერს:

ახლად გაწვეული ჯარისკაცები მოდიან პოლკებში და შეიმოსებიან რა ხალხის ფულით, სახლში გარბიან. ეს ისეთი მავნე და ზომაკვდინებელი სენია, რომ იგი თვით ხალხს მოეკლინება შავ ჭირათ და მას ფიზიკურ და სოციალურ არსებობას მოუსპობს.

ამ გარემოებას დიდათ უნდა ჩაუკვირდეს ჩვენი ხალხი, ამ სენის წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლება და დამოუკიდებლობა ერთ მშვენიერ დღეს მოისპობა.

განსაკუთრებით მეტი გონიერება გლეხკაცობამ უნდა გამოიჩინოს, გაუგებრობის მდგომარეობიდან გამოვიდეს, კარებზე მომდგარ საფრთხეს ფხიზელი გონებით შეხედოს.

ახლა ერის ხსნა და მისი ყოველმხრივ უზრუნველყოფა შეიარაღებულ ძალაზეა დამოკიდებული.

ჩვენ ამ[illegible] გამოვსთქვამთ, რომ საქართველოს ხალხის გონება გაიწმინდება სავსებით ყოველივე ბურუსიდან. ვიცით ახლა ის დღეები, როცა საქართველოს რესპუბლიკის დროშას ღირსეულათ გაუძღვება და ასახელებს ჩვენი ჯარი.

* * *

ეს. ახმეტელაშვილი „ერთობის“ ფურცლებზე საყურადღებო ცნობებს აწვდის მეთხუთველებს გერმანიის სოციალდემოკრატიულ ფრაქციათა შესახებ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ორ ფრაქციათაა გაყოფილი და მათ შორის მტრული განწყობილებაა.

პრესაში და პარლამენტში ერთი მეორეს ედავებიან. ის აუარებელი პარტიული ორგანოები, რომლებიც დამოუკიდებლობის ხელშია, სისტემატიურად დამოკიდებულობის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ასევე ითქმის დამოუკიდებლობის გაზეთების შესახებ. „ლეიპციგის ფოლკს ცეიტუნგი“, რომელიც კი დამოუკიდებლების მთავარ ორგანოთ ითვლება, უმთავრესად შეიდენანის და მისი ფრაქციის პოლიტიკის გაკიცინკებას უნდება. „ფორვერტსა“ და მის შორის დაუსრულებელი პოლემიკაა გამართული.

რეიხსტაგში უკანასკნელ არჩევნების დროს სოციალდემოკრატიული პარტია უკვე ორათ ყოფილა გაყოფილი და საკუთარი სიგნით გამოსულან. ორივე ფრაქციამ ერთად გაიყვანა ას ცამეტი დეპუტატი. აქედან ოცდა ათი დამოუკიდებელია. დანარჩენი დამოკიდებულები. დამოუკიდებლები რეიხსტაგში სულ მარტხნივ სხედან, ეს ორი ფრაქცია ერთმანეთს მგლის თვალით უყურენ. როცა შეიდენანის ფრაქციის რომელმიე დეპუტატი ლაპარაკობს, ჰააზეს ფრაქციიდან ვერ გაიგებთ, რომ მას სიტყვა მოუწერნონ და ვაშა დაუძახონ. ასევე ითქმის პირველებზედაც. „ფორვერსტენი“ დამოუკიდებელ ფრაქციის ორატორთა სიტყვებნი ისევე შემოკლებით იბეჭდება, როგორც ბურჟუაზიულ პარტიის ორატორების. როცა „ფორვერტსის“ რედაქციაში ამის შესახებ ჩემი გაკვირვება გამოუსთქვი, რედაქციის ერთ ერთმა წევრმა მოკლეთ მიპასუხა: ჩვენთან მათ საერთო არაფერი აქვთო.

დამოუკიდებელი ფრაქციის წევრები შეიდენანის ფრაქციის წევრებს ამხანაგის მაგიერ ბატონის სახელით იხსენიებენ. რეიხსტაგის ერთ-ერთ სხდომაზე, როცა შეიდენანი თავიერ[illegible] ბოლოტკის შესახებ ლაპარაკობდა,—სიტყვის დათავების შემდეგ ტრიბუნაზე ლედებერი (დამოუკიდებელი) ავიდა და პირველათვე შეიდენანი ბატონის სახელით მოიხსენია, რასაც მოჰყვა მისი მწარე და მოსწრებული კრიტიკა.

დავიდი რომ რეიხსტაგში ლაპარაკობდა, დამოუკიდებელ ფრაქციათა წევრებში ისეთი მოუსვენრობა იყო, თითქოს ვიღაც ბურჟუაზიის წარმომადგენელი ლაპარაკობსო. როცა სხდომა გათავდა, ედუარდ ბერნშტეინი მოვიდა და მეუბნება: ხომ მოისმინეთ, როგორ შოვინისტურათ ილაპარაკა დავიდმა. რაში გამოიხატა მისი შოვინისტობა? იმაში, რომ მან მოითხოვა დემოკრატიული ზავი, მხოლოდ ელზას ლოტარინგიის საფრანგეთის შეერთებაზე კი უარი თქვა. დავიდი ამტკიცებდა, რომ ელზას ლოტარინგია—ისტორიულად გერმანიის ეკუთვნოდა და უმრავლესობაც გერმანიის მოდგმის ხალხია.

თქვენ წმრმოდგინეთ, ერთ დროს და დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც [illegible]ვიდი ყველა პარტიებაზე, პრესაში და ლიტერატურაში ერთგულათ იცავდა ედ. ბერნშტეინს და მისი შეხედულების ერთგული დამცველი იყო. ახლა კი მთ შორის ხიდი ჩატეხილია და ერთი მეორეს აღარაფერში ეთანხმებიან.

მიწის რეფორმის გარშემო.

(დასასრული).

ცენტრალ გამგეობის განკარგულებაში გადადის უნარმოთ და მოღალანთ ყველა კულტურულათ მოწყობილი, სახელმწიფობრივი ღირებულების მქონე მამული—მეურნეობა. ამნაირი ადგილები ყოფილ თავად-აზნაურობას, მემამულეებს აქვთ. ადვილი წარმოსადგენია გლეხებზე რა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მიმლები კომისიის მოქმედება, როცა ის მემამულეს ნორმით ჩაუბარებს მიწა-წყალს და გარდა ამისა ხელს არ ახლებს, გვერდს გაუვლის მის კულტურულად მოწყობილ ბაღ-ვენახებს, რა ზომისაც უნდა იყოს. სულ სხვა სურათი გადიშლებოდა, ცენტრალ მმართველობის კომისიის წინდაწინ რომ ჰქონებოდა სოფლები დავლილი, ზემო აღნიშნული მამულები თავად-აზნაურობისათვის ჩამორთმეული და სახელმწიფო ღირებულებათ გამოცხადებულნი.

მაგრამ ეს კომისია არამც თუ წინ მიფძვლება მიმდინ კომისიას, ხშირათ უკანაც ან მიჩანჩალებს. მას სახელწოდებაც უნდა გამოეცვალოს (ცენტრალ მმართველობას). ოფიციალურ ქაღალდებში ეგი იწოდება: „Краевая Земельная Управа“. ჩვენ მდგომარეობას ეს სახელწოდება სრულებით არ შეეფერება. მას უნდა დაერქვას: საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალ საადგი-მამულო კომიტეტი ან მმართველობა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მთავრობა უკვე შეუდგა ნორმაზე ზევით მიწების ჩამორთმევას. კომისიები ენერგიულათ შეუდგნენ მუშაობას. ამ მხრივ ალსანიშნავია ცხინვალის რაიონში მომქმედი მიმლები კომისია. კომისიას ხელმძღვანელობს სწავლული მეურნე (აგრონომი). გ. გ. ოქროპირიძე. წვერათ დამსახურებული პოპულიარული ი. მაკავარიანი არის დანიშნული. ამ რაიონს კომისია თითითი საჩვენებელი სხვა რაიონებში. გ. ოქროპირიძე დიდი სიყვარულით და ენერგიით ეკიდება საქმეს. რაიონში მოქმედებს მალე გაათავებს. პირადი შემადგენლობისა გამო ვლეტები დიდი პატივისცემით და ნდობით ეკიდებიან კომისიას. სამწუხაროთ გაუგებრობა საქართველოში და ტირძისნში მოხდა. ს. საქართველოში მემამულე დიასამიძის მიმლებმა კომისიამ ნორმით თოთხმეტი დღიური ჩაუბარა, ამის გარდა ხელფხლებელად და მისს (დიასამიძის) განკარგულებაში ორმოცი დღიური ბაღ-ვენახი დასტოვა, როგორც კულტურული ღირებულების მქონე მეურნეობა. ეს იწყინეს გლეხებმა, ისე გაიგეს, რომ დიასამიძეს ორმოცდა თოთხმეტი დღიური ბაღ-ვენახი გადასცეს. ამან აურზაური გამოიწვია. გლეხებმა უწყებები არ ჩაიბარეს. კომისიის მუშაობას არ მოეკარნენ. დიდი აგიტაცია, ენერგიის დახარჯვა და უნარი—ტაქტის გამოჩენა დასჭირდა კომისიის თავმჯდომარეს, რომ საქმე მოეგვარებინა. კომისიის პირადი შემადგენლობა თორემ, გლეხები კომისიას კეტებით გაუმასპინძლებდნენენ.

ტირძნსში მეტ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. სხვათა შორის ამ სოფელში მემამულეები სულხანიშვილები არიან. გლეხები დიდის ცნობის მოყვარეობით უცდიდნენ სულხანიშვილების მამულის ჩამორთმევას. კომისიას კიდევაც მალე ჩამოსვლა სთხოვეს. კომისია ენერგიულად შეუდგა საქმეს. სულხანიშვილებს ორი ათას დღიურამდე ჰქონებიათ. ს. ს. ტირძნისსა და ბროწლეთში. ოცდა ათ დღიურზე კარგათ მოწყობილი ბაღი აქვთ მოშენებული, დანარჩენი ადგილი კი ზოგი საბალოდ და უმეტესობა კი სახნავ-სათესი. ამ უკანასკნელი კატეგორიის მიწები ნაპურ-ნაპურად სხვა და სხვა ალაგასაა გადანტული. ტირძნისელ გლეხების სიტყვით, ეს ნაპრები სულხანიშვილებმა გლეხებს ტატუნაშვილებს წაართვეს. დაუსრულებელი, რამოდენიმე წლობით ჭქონდათ დავა ძველ პალატა-სენატში სულხანიშვილებს ტატუნაშვილებთან. საქმე, რასაკვირველია, შეძლებულ მემამულეებს სასარგებლოთ გათავდებოდა. ამის გამო სულხანიშვილები ძალიან ეჯავრებოდათ ტატუნაშვილებს. როგორც გამოირკვა სულხანიშვილებს ძალიან ცუდი სახელი დაუმსახურებიათ. 1905 წ. განმათავისუფლებელ დროსაც.

ამ სულხანიშვილ[illegible]ამ[illegible]ლებ კომისიამ ნორმის ზევით მთელი ა[illegible]ალ-მამული ჩამოართვა, ნორმით თოთხმეტი დღიური დუტოვა, მხოლოდ ოცდაათი დღიური ბაღ-ვენახი ხელუხლებელი დასტოვა. ის იყო კომისიამ მუშაობა გაათავა, უკანასკნელ სტრიქონებს სწერდა შესაკერ აქტისას, რომ ცენტრალ საადგილ მამულო მმართველობიდან დეპეშა და მოწერილობა მიიღო. ცენტრალ მმართველობა უბრძანებდა კომისიას, რო სულხანიშვილების მთელი მამული როგორც ტირძნისში ისე ბროწლეთში ცნობილია, როგორც მაღალ კულტურულანი მეურნეობა და ამიტომ მათ მამულს ხელი არ ახლოო. ამ განკარგულებამ დიდი მოთქმა-მოთქმა და მღელვარება გამოწვია გლეხებში. დასკვნა: უნდა გამოიცეს მთლიანი მიწის კანონი, ყველა მიწის რეფორმის განმახორციელებელ ორგანოების შემადგენლობას უნდა მიეტეს ყურადღება. ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეში პატიოსანი და კეთილ საიმედო-პირნი გვჭირია. ცენტრალ ორგანოს უნდა გამოეცვალოს სახელწოდება.

ბ. შ-ია.

დეპეშები.

(ფუნქციონალ სააგენტო)

6 სექტემბერი.

ბერლინი, 5 სექტემბერი. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კონნ-პრინც რუპრეტის და ბოინეს ლაშქარი. იარსა და ლა-ბაესს შუა მტერი უანლოოდება ჩვენს პოზიციებს. სკარპის და სომის შუაც მტერი უახლოდება ჩვენ პოზიციას. ჩვენი ქვეითი ჯარი შედგრად იბრძვის. სომაზე საარტილერიო ბრძოლაა. სომას და უაზას შუა ჩვენ განეგრძობთ წინსვლას. ელეტის დაბლობში მოვიგერიეთ მტრის შეტეცვა. გავანადგურეთ 8 ჯავშნოსანი.

ბერლინელ კონნპრინცის ლაშქარი. სუასონის აღმოსავლეთით ჩვენი ძალები უკან წამოვიყვანეთ. გუშინ ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 32 ჰიროპლანი.

ვენა, 5 სექტემბერი. სამხედრო ცნობა. ტალიის ფრონტი. კონრნის მიდამოებში და მონტა-პერტიკის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარების მოქმედება სრული გამარჯვებით დამთავრდა. ბილეთსთან მტრის მზერავი რაზმის შეტეცვა მის სასარგებლოდ ვერ დამთავრდა.

ალბანეთის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

სტამბული, 5 სექტემბერი. სამხედრო ცნობა. გზატკეცილ იერუსალიმ-ნამლიუსის დასავლეთით მტრის ზეგერავ რაზმის შეტეცვა სავლეთით მტრის ზეგერავ რაზმის შეტეცვა ორივე მხრით სუსტი საარტილერიო მოქმედება. იორდანეს მიდამოებში სამშედდე.

სტამბული, 5 სექტემბერი. თალაათ-ფაშა და გარეშე საქმეთა სტატ-მდივნის თანაშემწე რეშად-რიკმეტი გაემგზავრნენ ბერლინში

სათათბიროთ. ბერლინში წავიდა აგრეთვე გრაფი ბერნსტორფი.

ვენა, 5 სექტ. იმპერატორმა გოფბურგში მიიღო ბულგარეთის კოროლი. ხელმწიფეთა თათბირი $1^1/_2$ საათს გაგრძელდა.

მოსკოვი, (ცნობა მიღებულია ბერლინიდან 5 სექტემბერს.) ლენინი თავს უკეთ გრძნობს. მოსალოდნელია ავადყოფობის გართულება.

უცხოეთი.

ბაღდადი.

ინგლისელებმა დაამთავრეს იერუსალიმ-ქაირის რკინის გზის გაყვანა: ამის გამო ალესტინა სავაჭრო გზის ცენტრად იქცევა წინა აზიისა და აფრიკას შუა.

ჩინეთი.

პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის მთავრობამ ჩეხო-სლოვაკების ჯარებს ნება დართო ისარგებლონ ომის დასრულებამდე აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზით.

ამერიკა.

ამსტერდამიდან ცნობაა, რომ პრეზიდენტი ვილსონი მალე ჩამოვა ინგლისში ნიმეცურ კოლონიების საკითხის გადასაშინჯავიოო. ამ ჩამოსვლის დროს გადასინჯული იქნება აგრეთვე საკითხი ციმბირში სამხედრო ოპერაციების გაფართოების შესახებ.

ტროცკის გრძანება და სიტყვა.

„Neuen Lembergez Zeitung“-ს მოჰყავს სიტყვა სიტყვით სახალხო კომისარის ტროცკის ბრძანება, რომელიც ინგლის-ფრანგების რუსეთში მოქმედების წინააღმდეგ არის მიმართული. ტექსტი ბრძანებისა შემდეგია: „ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო ნაწილების შურმანში გადმოსვლის შესახებ და აგრეთვე ჩეხო-სლოვაკების კონტრ-რევოლუციონერ მოძრაობაში ფრანგ-ოფიცრების ოფიციალურად მონაწილეობის მიღების გამო, მე ვუბრძანებ ყველა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებას ისე, როგორც ყველა სამხედრო პირთ საზოგადოთ: ინგლისის და საფრანგეთის ოფიცრებს არავითარ შემხვედვაში დახმარება არ გაუწიოთ, შემდეგ, უნდა შეუშალოთ ხელი მათ, ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასვლისა, და ბეჯითად ადევნოთ თვალ-ყური ყველა მათ მოქმედებას, აგრეთვე იმ პირთ მოქმედებას, რომელნიც, როგორც ამას ფაქტები გვიმტკიცებენ, რუსეთის რესპუბლიკის ტერიტორიის და რუსის ხალხის უალრეს უფლების წინააღმდეგ ბოროტი განზრახვებით არიან გაჟღენთილნი“.

ამავე სახალხო კომისარმა ტროცკმა, როგორც ვოლფის სატელეგრაფო ბიურო იტყობინება, „ჩეხოლ-სლოვაკების საფრთხის“ შესახებ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, რომლიდანაც მოგვყავს აქ შემდეგ აღგილი: თუ გრაფ. მორბახის ს

ღაროს სახელმწიფომ ის ზარალი, რომელიც ჯარებმა აფხაზეთს მიაყენეს. მიცემულ უნდა იქნენ პასუხის გებაში ის პირნი, ვინც შემჩნეული იქნებიან ამა თუ იმ ბოროტ მოქმედებაში.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შერვაშიძე.

კასარა შენიშვნები.

2.

ქალაქი უსოფლოდ ჩვენი სახელმწიფოსთვის შეუძლებელია. მაგრამ, სამწუხაროდ სახელმწიფოს აღმშენებელ მუშაობაში სოფელი ძალიან ცოტა მონაწილეობას ღებულობს. მას წარმოდგენაც არა აქვს დღევანდელ გაუცხოველებულ აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ. ის დღესაც ბერუსით არის მოცული. სოფელი მხოლოდ იმას გრძნობს რასაც განიცდის ე. ი. შიმშილს და სხვა ჩვენ მოუწესრიგებლობას. მიზეზი ამისა ბევრია და უმთავრესად ის, რომ დღეს სოფელი ღვთის ანაბარად, უპატრონოდ არის მიტოვებული. სოფელში მომუშავე ინტელიგენტები სოფელს გაურბიან, ყველა ცდილობს ქალაქს შეაფაროს თავი ეს იმ დროს, როცა მათი მოქმედება დღეს უფრო საჭიროა სოფლად.

ამ მოვლენის ზოგი იმით ხსნის, რომ დღეს ვითომ გლეხობა აღარ უჯეროდეს სოფლად მომუშავე ინტელიგენტებს. მაგრამ ჩვენ ეს არ გვჯერა. მართალია დღეს ხალხი გაბოროტებულია, უჭირს გარჩევა მტერ-მოყვრისა, მაგრამ ჩვენი სოფლის ხალხი არც ისე უვიცია, რომ არ დაიფასოს და არ შეიყვაროს მისთვის გულ-შემტკივარი და თავდადებული მუშა-ინტელიგენტი, თვითონ გლეხებშიაც მოიპოვება შეგნებული ელემენტები, რომელთაც შესწევეს შეგნება ავ-კარგიანობის გამოცნობისა.

დღეს ყველაზე მეტი მოვალეობა სოფლად სოფლის ადმინისტრაციის აწევს. დღეს უმეტესად ადმინისტრაცია არის დაახლოვებული სოფელთან. მაზეა დამოკიდებული მთავრობისადმი ნდობისა და პატივისცემის განმტკიცება სოფლის ხალხში, რადგანაც ადმინისტრაცია არის სოფლად მთავრობის წამომდგენელი. სოფლის ადმინისტრაცია, ბარომეტრია ხალხისათვის მთავრობის სიფ-კარგის გამოსაცნობად, წესიერად მოქმედებენ სოფლის კომისარ მილიციონერები, მაშასადამე მთავრობაც კარგი გეგონიაო, ასე მსჯელობს სოფლის ხალხი. მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია არ აღენიშნოთ, რომ, როგორც პროვინციიდან მიღებული ცნობებიდან სჩანს, ზოგი სოფლის კომისრები და მილიციონერები ვერ სდგანან ჯეროვან სიმაღლეზე, პირნათლად ვერ ასრულებენ ნაკისრ მძიმე მოვალეობას.

მთავრობა ყოველივე ღონეს ხმარობს, რათა სოფლად ჰყავდეს ნამდვილი თავის წარმომადგენელი და ნდობით აღჭურვილნი პირნი; ამას მოწმობს, სხვათა შორის, ის აუარებელი ინსტრუქციები და საყოველთაო განკარგულებანი, რომელნიც მთავრობამ გამოსცა სოფლის ადმინისტრაციის სახელმძღვანელოდ, მაგრამ სამწუხაროდ ეს განკარგულებანიც კი ვერ აღწევენ სოფლის ადმინისტრაციამდე, რადგანაც მათი უმეტესობა მთავრობის ორგანონი იბეჭდება და სოფლის კომისრებმა ამდენხანს „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერაც კი ვერ შესძლეს მოუხდაათ იმისა, რომ ეს მათთვის სავალდებულოა და ამის შესახებ ბრძანებაც კი გამოსცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. სოფლის ადმინისტრაციას მეტი სიფხიზლე მართებს.

ბ.

მოლარეთა არტელი.

ტფილისის ერთ გაზეთში ამას წინდე მოთავსებული იყო წერილი მოლარეთა არტელის შესახებ. წერილის ავტორი სთელდა აუცილებელ საჭიროებად დაარსებას ქართველ მოლარეთა არტელისას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წერილის შემდეგ არც კერძოდ და არც გაზეთების საშუალებით ხმა აღარაფის ამოუღია.

დღევანდელ პირობების გამო, როდესაც ჩაქართველოს რესპუბლიკა, თანდათანობით თავის დაწესებულებებში ახდენს ნაციონალიზაციას, რასაკვირველია მოლარენი და „არტელჩაკებიც“ უნდა იყვნენ ქართველნი, ან ის პირნი, რომელთაც შეუძლიათ აწარმოვონ საქმე ქართულად. დღევანდლამდე ჩვენ ბანკებში და სხვა დაწესებულებებში მსახურობენ უცხო ტომნი, რომელნიც უმეტეს ნაწილად არიან რუსეთში არსებულ რომელიმე არტელის წევრნი, მთ მაგიერ ყოველივე პასუხს აგებს არტელი, მაგრამ ვინ არის იმის თავდები, რომ რუსეთის დღევანდელ პირობებში ეს არტელები ადგილობრივ შიდა რუსეთში კიდევ არსებობენ და პასუხისმგებლობას კისრულობენ.

რაც უნდა მოხდეს, მაგრამ ჩვენ რესპუბლიკის დაწესებულებებში ნაციონალიზაცია დაიწყო და ახლო მომავალში შესაძლებელი სრულიად განხორციელდეს, მაშასადამე, პასუხისმგებელ არტელის შედგენა უნდა საჭიროდ იკისროს რომელიმე ახლად დაარსებულმა მთავრობის მიერ ნება დართულმა და დამტკიცებულმა არტელმა ან ბანკმა.

თუ რომ ამ გვარ პასუხისმგებელ არტელს ან საზოგადოებას ვერ დავაარსებთ, მომავალში მოსამსახურეთა მიღება ამ დარგში მოხდება ისე, როგორც ჩვეულია ქართველი საზოგადოება, ე. ი. ნაცნობობით, პურმარილით და სხვა გვარ პროტეტეთი, შედეგი კი ამისა იქნება ის, რომ ბევრი უპასუხისმგებლო მოლარე (კასსირი) და „არტელჩიკი“ საზოგადოების ფულს გაფლანგავს, მას პასუხს ვერავინ მოსთხოვს და შეიძლება შედეგად, უფრო დიდმა, ბოროტმოქმედებამაც იჩინოს თავი, დროა შევუდგეთ ამ საქმეს („ერთ.“).

ამხ. გ. სურგულაძის ხსოვნას

სოხუმის ოლქში, ასკერებთან ბრძოლაში გმირულად დაეცა ამხ. გიორგი სურგულაძე. ამ მეტად მძიმე დროს, როდესაც გაასკეცებულ ენერგიით სწარმოებს მუშაობა დამოუკიდებელ საქართველოს აღმშენებლობისა და მის მთლიან სხეულის გამაგრებისათვის, ამ დროს გვაკლდება ჩვენ გიორგისთანა თავდადებული იშვიათი მებრძოლი.

ახლო წარსულში დაგვახახეა, რომ რევოლიუციის პროცესში, საერთო აღფრთოვანებასა და ბედნიერებას ჩქარა ადგილი უნდა დაეთმო საზოგადოებრივ უბედურებისა და მის განახლებულ ცხოვრების განიავებისათვის.

და ამ ყოფნა არ ყოფნის დროს თბ. რევოლიუციონერ დემოკრატიის მიერ ჩაისახა წითელი გვარდია, რომელმაც დაისახა მიზნად რევოლიუციის დაცვა და ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონერებთან, და ამ დროს შენ, რევოლიუციის გმირო, ასოთ-ამწყობთა ცხოვრებიდან პირველმა დაჭარი ბუკი და ნალარა, შემოიერთე მთელი პროფესია, იარაღით აღჭურვე ის, გაწრთვენი და გადაახალისე მოსალოდნელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის. შენ უარყავ შენი პირადი ბედნიერება, პირადი არსებობისთვის ზრუნვა,— განგაშორდი, და თბ. საგანგებო რაზმის ლაგერედან ვახდი მუდმივი დარაჯი თავისუფლებისა.

ხან-მოკლე იყო ამ ბრძოლის ასპარეზზე შენი სიცოცხლე, მაგრამ რაც იყო,—იყო გმირული, თვალსაჩინო და ნაყოფიერი.

ჩვენ, შენთან ალზრდილნი, რიგში მდგომნი ამხანაგები გაძლეევთ მტკიცე სიტყვას, რომ შენგან განვლილი ეკლიანი გზა, რომელმაც შენ შეგიგწირა, დავიცათ ისე, როგორც იცავდი შენ, ძვირფასო ამხანაგო.

კ.ზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ასოთ-ამწყობნი

სომხეთის ცხოვრებიდან.

„ორიზონს“ დილიჯნიდან ატყობინებენ შემდეგს: ამ ბოლო დღეებში დაიწყო საფოსტო და საგზაო მიმოსვლა დილიჯნიდან ერევანს, დილიჯნიდან აღსტაფას და დილიჯნიდან ყარაქილისს. მიმოსვლა ავტომობილებითაა. ერთი კაკის წასვლა დილიჯნიდან ერევანს ღირს 75 მან., დილიჯნიდან აღსტაფას 50 მან., დილიჯნიდან ყარაქილისს—30 მან.

გაზეთები არ მოგვდის ფოსტით, და თუ კერძო პირებს მოაქვთ ნომერს ჰყიდიან მანეთ ნახევრად ან ორ მანეთად.—ამ ბოლო დროს სოფ. ვერინ აღიდან და ხარტარაკენი რამდენიმე კაცი ხოლერით ავად გახდა.

—

სტამბოლის სომხური გაზეთი „ჟამანაკ“ ატყობინებენ, რომ ჰაიასტანის დელეგაციის წევრი გენ.-მაიორი ყორდანოვი ოსმალეთის მთავრობას მეჯიდიეს მეორე ხარისხის ორდენით დაუჯილდოვებია.

—

იმავე გაზეთის სიტყვით, ჰაიასტანის დელეგაციის წევრი პოდპოლკოვნიკ შაჰბაზიანი 7 აგვისტოს უნდა გაემგზავროს ოსმალეთის მთავრობის ნებართვით მესოპოტამიაში იქ მყოფ სომეხ ტყვეების სანახავად.

—

როგორც „ჰორიზონს“ ატყობინებენ, გენერალ ნაზარბეკიანი გადამდგარა თავის თანამდებობიდან და იმის ალაგს დივიზიის უფროსად დაენიშნავთ გენერალ სილიკიანი. გენ. სილიკიანმა უკვე დაიწყო დივიზიის შედგენა. პოლკოვნიკებთ მიუწვევია ფირუმიანი და დოლუხანიანი, და აგრეთვე ოთხი სხვა ტომის პოლკოვნიკები.

—

ავსტრო-ჰუნგარეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ტყვეთ წაყვანილი სომეხი ჯარის კაცნი და აფიცრები ერთ ალაგას მოაგროვონ, რათა მდგომარეობა გაიაზრონ.

—

„ორიზონი“ იტყობინება რომ, სომხეთის დიპლომატურ მისიას ტბილისში სტამბოლიდან ცნობა მოუვიდა, რომ ოსმალეთის მთავრობას განკარგულება მოუხდენია ამ მოკლე ხანში ოსმალეთის ჯარები ბამბაკისა და ლორის ოლქებიდან, გაიყვანონ და რკინის გზაც სომხეთის მთავრობას გადასცენ.

—

როგორც „ორიზონი“ გადმოგვცემს, ჰაიასტანის მთავრობასთან ოსმალეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად დაინიშნა მაჰმედ ალი ფაშა, რომელიც უკვე სტამბოლიდან გამოემგზავრა.

ქურნალ-გაზეთებიდან.

შეფასებული კერენსკი.

გაზ. „ეოსო. ნოვ.“ იუწყება: ჰელსინფორსიდან ცნობაა, რომ ლენინმა 250 ათასი მანეთი გადასდო ჯილდოთ იმისთვის, ვინც კერენსკის, ჩერნოვს და კერენსკის ყოფილ კაბინეტის წევრებს მიჰვერის.

—

კეკეკეკეკეკ კეკეკეკეკ.

ადგილობრივი მცხოვრებნი დაშინებულნი უკანასკნელნი შეტაკებებით, სიძვირით და ახლო მომავლის პერსპექტივით გარბიან კავკაკიდან, საითაც კი შეიძლება. გზაში მათ ინგუშები სძარცვავენ, ხდიან ტანსაცმელს, მაგრამ ეს კი ვერ აჩერებს მათ, იმდენათ დიდია ქალაქში გავრცელებული შიში.

გამოსაძებელი ცნობები

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

კავკასიის რკინის გზაზე:

№ 3—გადის თელავიდან დილის 8 ს. 28 წ.
გურჯაანში მიდის „ 10 „ 14 „
თბილისში „ საღამოს 5 „ —
№ 4—თბილისიდან გადის დილის 8 „ 58 „
გურჯაანში მიდის ნაშუადღ. 3 „ 24 „
თელავში „ საღამოს 5 „ —
№ 5—წნორის წყალიდან
გადის დილის 8 „ 42 „
გურჯაანში მიდის „ 10 „ — „
№ 6—გურჯაანიდან გადის ნაშუად. 4 „ 15 „
წნორის წყალში მიდის „ 6 „ 20 „

განცხადებები

რაბინი აბრაამ ხეოლისი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: პირონენების მოწმობა ცხინვალის მეორე კოიპერატივის „იმედი-“ს დამტკიცებული წესდება. ხსენებული საბუთები დღეიდან გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს.
3—3.

ვასილ ნიკოლოზის ძე დაუშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული შკმარის სასოფლო კომისრისაგან 25 ივნისს. № 85, მტრიკული მოწმობა, მიღებული თბილისის სიხოდალურ კონტორიდან, აზოვ-დონის და ვოლგა-კამის ბანკების ჩეკები №№ 2889 და 86314.
3—2.

დაკარგე ტყავის საფულე 15,000 მანეთით, პასპორტი და სხვა ჩემთვის საჭირო საბუთები. ვსთხოვ მპოვნელს დამბრუნოს პასპორტი და საბუთები შემდეგი მისამართი: კათოლიკეების ქუჩა № 4 სტეფანე ჩილნგარაშვილი—ვარდიე.
№ 687. 3—2.

მიხეილ ივანეს ძე მერენბლიოში აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწფის მოწმობა, მიღებული თბილისის მეორე გიმნაზიიდან 1914 წ. 7 ივლისს № 713. № 682. 3—3.

დაიკარგა თბილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 46344., 25 მან.
3—3.

5 სექტემბერს დაკარგე ტყავის საფულე: რომელშიაც იყო ფულად სამი მანეთი და ათი შაური. პირადობის მოწმობა მოცემული ბანგლისის პოლკის უფროსისაგან და აგრეთვე პარტიული მოწმობა. ეს მოწმობები ჩემთვის ძლიერ საჭიროა და მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით:
ფომინის ქ. სახლი № 5. პორ. ხიტრაია.
№ 692. 3—1.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. 8 აგვისტოს მის მიერ დამტკიცებულია, 1918 წ. 27 ივნისს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქუთაისში მიხეილის საახნაურო საადგილმამულო ბანკმა 4500 მან. მიჰყიდა მოქალაქეებს:

ლუკა გლიბუას ძე რატიანს, ალექსი ნიკოლოზისძე და ლაზარე გაბრიელის ძე წვერაველებს მიწის ნაკერი, მდებარე ქ. ხოშში, ქუთაისის მაზრა, ზომით 3000 ოთხკ. საჟ.

სამტკიცის გადასახადათ მიღებულია 180 მან. მთავარი ამონაწერი 22 მ. 50 კ. ღირებულობის ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. 8 აგვისტოს.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. 25 ივლისს მის მიერ დამტკიცებულია, 2 ივლისს 1918 წ. შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გიორგი საბას ძემ კანდელაკამ მიჰყიდა 2000 მან. ჯოატონ სიმონის ძე ჯალალანიას მიწის ნაკერი შენობებით, მდებარე ქ. ქუთაისში III ალექსანდრეს ქუჩაზე, ზომით: აღმოს. 8 საჟ $^1/_2$ არშ. დასავლ. 10 საჟ. ჩრდილ. 6 საჟ. 2 არშ. და სამხრ. 6 საჟ. $^1/_2$ არშ. სამტკიცის გადასახადათ მიღებულია 80 მან. მთავარი ამონაწერი 10 მან. ღირებულობის ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. 25 ივლისს.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ მის მიერ დამტკიცებულია, 1918 წ. 3 აპრილს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ანნა არხბინის ასულმა ოსიეროანმა მიჰყიდა 10,000 მან. ნიკოლოზ ბესარიონის ძე გუბუაძეს მიწის ნაკერი შენობებით, მდებარე ქ. ყვირილში, შორაპანის მაზრა, ზომით 526 ოთხკ. საჟ.

სამტკიცის გადასახადათ მიღებულია 400 მ. მთავარი ამონაწერი 50 მან. ღირებულობის ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1918 წ.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ მის მიერ დამტკიცებულია, 1917 წ. 21 სექტ. შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც თენგიზ სტეფანეს ძემ კორტაევმ მიჰყიდა 1800 მან. ეპიფანე თეოდორის ძეს ჩაჩუას მიწის ნაკერი შენობებით, მდებარე ქ. ახალ სენაკში, ზომით 29, 25 ოთხკ. საჟ. სამტკიცის გადასახადად მიღებულია 72 მან. მთავარი ამონაწერი ½ მან. ღირებულობის ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. 3 აგვისტოს.

დაიკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 77177.
2—1.

ქ. ორდუბათის მცხოვრები გაჯ-რიზა-კული აგასიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მე-4 და მე-5 უბნების უფროსების ხელწერილები 50.000 მან ეს ფული მან ასესხა ამ პირთ ჯულფა-ბაქოს რკინის გზის სამმართველოს საკრედიტოსთვის. ეს ხელწერილები გაუქმებულად ითვლება.
3—3.

მართა ივანეს ასული დედერერი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვექილობა, მიცემული ალექსანდრე ივანეს ძე კისლიაკოვზე № 999 ნოტარიუს ქარაკაშელის მიერ სალიკვიდაციო ფულის მისაღებად.
3—3.

ქართული შრიფტი.

როსულ ასოებიან საბეჭდავ მანქანებს ვასაღებს ქართული შრიფტით. მაგალითისთვის ყოველ დროს შეიძლება გადაკეთებული მანქანის გასინჯვა. ს. გერმანი, სახლის ქ. № 2.
691. 10—1.

ქვემო მაჩხაწმი მცხოვრებ ვასილ დაძირაშვილს დაეკარგა თავისუფალ სესხის 12000 მ. ღირებულების კვიტანცია № 5473.
№ 685, 3—3.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით

პირველი ქართული გუჯგალტერიის კურსები

ორიენ სექსისთვის, წლოვანობის განურჩევლად.

ალ. გ. საათაშვილისა

ორმაგი ბუჰგალტერია და სხვა საგნები სრული პროგრამით, სწავლა დაიწყება სექტემბრის 5 ს. პირობის გაგება შეიძლება დილის 4—12 ს., საღამოთი 5—7 ს. მისამართი: თბილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9 (1-ლი სამილ. უბანი).
2—2.

განცხადება

მე-5 ქართულ პოლკში, საპაორის ქუჩაზე იყიდება ძველი ფურგონები და მათი მასალები. შეკეთებრება დანიშნულია ამა სექტემბრის 9-ს 10-ნახევარ საათზე. დაწერილებით სა-მეურნეო განყოფილების უფროსთან პოლკში. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 12—14 საათამდე არამწყობრ ასეულის უფროსთან.

პოლკოვნიკი ბ ალ ულ ე ვ ი.
4—686—1

სამეურნეო ნაწილის უფროსი კნ. შ ე რ ვ ა შ ი ძ ე.
საქმის მწარმოებელი ბ. ს ა ხ ა ნ ნ ა ბ ი.

რედაქტორი ჯ. დ. ხაჟვარელიძე.